

ყოველთვის არის თუ არა წმ. სინოდის დადგენილება შეუმცდარი, კანონიერი და სულიწმიდით ნაკარნახევი?

ეს საკითხი ახალი არ არის ეკლესიისთვის და მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ მკაფიოდ არის განმარტებული: მხოლოდ იმ კრების და ის დადგენილებებია კანონიერი და მისაღები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ეკლესიის სწავლებას, მის წმიდა გადმოცემას, დოგმატიკასა და კანონიკას, დედა ეკლესიის წეს-განგებულებას, მოწივობასა და ტრადიციებს. იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს: წმიდა წერილს, 7 მსოფლიო კრების დადგენილებებს, დიდი სჯულის კანონს, წმიდა მამათა იმ ნააზრევებს, რომლებიც ეკლესიამ მისაღებად მიიჩნია. მხოლოდ ამ კონტექსტში უნდა გვესმოდეს წმ. მამათა სიტყვები: „ჯერ უნდა სულსა წმიდასა და მერმეცა ჩუენცა“. ზემოთქმულისგან განსხვავებული ყველა სხვა დადგენილება, რა რანგის კრებამაც არ უნდა მიიღოს იგი, მიუღებელია აკლესიისთვის და უკანონოა.

სამწუხაროდ, პაპიზმის მწვალებლურმა სულმა განმსჭვალა არა მარტო დასავლეთის „ეკლესია“, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალი იერარქი თუ მღვდელი, რომლებიც, პაპის უცდომელობის დოგმატის მსგავსად, ამტკიცებენ, რომ მათ მიერ პიროვნულად თუ კრებისთად მიღებული ყველა გადაწყვეტილება ჭეშმარიტების ენით მეტყველებს.

მართლა ყოველთვის შეუმცდარია სინოდი თუ მასაც შეიძლება მოუვიდეს შეცდომა?

სამწუხაროდ, მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია გვიჩვენებს, რომ არა მარტო წმ. სინოდები, არამედ ადგილობრივი და მსოფლიო კრებებიც კი ცდებოდნენ და იღებდნენ ეკლესიის სწავლებისა და კანონების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. ჩამოვთვლით რამდენიმე მათგანს:

449 წელს ეფესოში შედგა კრება, რომელმაც მიიღო მწვალებლური, მონოფიზიტური განჩინება და რომელსაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ უწოდა ავაზაკთა კრება.

754 წელს კონსტანტინოპოლში შედგა ცრუ მსოფლიო კრება, რომელმაც მიიღო მწვალებლური, ხატების თაყვანისცემის უარყოფის დადგენილება. ამ კრებამ ეკლესიიდან განდევნა და შეაჩვენა წმ. იოანე დამასკელი და წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქი. ეკლესიის მიერ ეს კრება დაგმობილია.

ცრუ კრება, რომელიც უსწრებდა მე-7 მსოფლიო კრებას და რომელიც ეკლესიის მიერ „ავაზაკთა კრებად“ იქნა შერაცხული, - ეს ფაქტი ეკლესიამ ღვთისმსახურებაშიც კი ასახა (იხ. მე-7 მსოფლიო კრების ხსენების დღის მსახურების ცისკრის კანონი).

ამგვარად, მსოფლიო კრებების პრეტენზიის მქონე კრებებიც კი ცდებოდნენ, მიუხედავად მასში მონაწილე მღვდელმთავრების სოლიდური რაოდენობისა. მითუმეტეს, ადგილობრივი სინოდებიც არ არიან დაზღვეულნი შეცდომებისაგან. შორს რომ არ წავიდეთ, ახლო წარსულიდან და, მათ შორის, საქართველოს სინოდის მაგალითებს მოვიყვანოთ, ასევე, რუსეთის სინოდისა, რადგან იმ პერიოდში მას გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკლესიაზე.

გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს და რუსეთის ეკლესიის სინოდებმა მიიღეს არაკანონიკური დადგენილება ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ. არც ერთი ეკლესიის მრევლმა (სამართლიანად) არ მიიღო ეს უკანონო გადაწყვეტილება და ორივე ეკლესია დღესაც განაგრძობს ძველი საეკლესიო კალენდრით ცხოვრებას.

60-იან წლებში, რუსეთის ეკლესიის წმ. სინოდმა მიიღო ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგო დადგენილება, კერძოდ, სიკვდილის საშიშროების შემთხვევაში

კათოლიკების ზიარება მართლმადიდებელი მღვდლის მიერ ან პირიქით, რომელიც პრაქტიკაში ვერ დამკვიდრდა და გაუქმდა.

80-90-იან წლებში რუმინეთის და ანტიოქიის ეკლესიებმა მიიღეს მწვალებლური დადგენილებები მონოფიზიტების შესახებ, რომლებიც ასევე არ დამკვიდრდა საეკლესიო ცხოვრებაში. ასევე ფინეთის ეკლესიის სინოდმა მიიღო ახალი სტილის კალენდარი და აღდგომას აღნიშნავს ახალი სტილით (რაც საქართველოს წმ. სინოდმა უარყოფითად შეაფასა).

60-იანი წლებიდან საქართველოს ეკლესია იყო „მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს“ წევრი, საიდანაც ღვთის შეწვევითა და წმ. სინოდის სწორი გადაწყვეტილებით გამოვიდა. ანუ, ემს-ში შესვლის არასწორი გადაწყვეტილება გააუქმა და სინანული გამოთქვა იმ შეცდომის გამო.

ამას გარდა მსოფლიო ეკლესიამ იცის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ადგილობრივ ეკლესიას მოუხდენია რომელიმე პირის კანონიზაცია (წმინდანად შერაცხვა), თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, დარწმუნებულა რა შეცდომაში, გაუკეთებია იმავე პირის დეკანონიზაცია. სამწუხაროდ, წმინდანად შერაცხვა ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა და ხდება არა იმდენად პიროვნების ღვაწლისა და მისი წმინდა ცხოვრების გამო, არამედ გარკვეული იდეოლოგიის გატარების გამო, ზოგჯერ - გარედან დაკვეთით. წმინდანად შერაცხვის თემას ჩვენ მომავალშიც დავუბრუნდებით.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ფაქტზე: მრავალ შემთხვევაში სხვადასხვა რანგის კრების, მათ შორის, სინოდის მცდარი გადაწყვეტილებები იმიტომ ვერ მკვიდრდებოდა ეკლესიის ცხოვრებაში, რომ მას არ იღებდა მორწმუნე ერი. როდესაც საქართველოს ეკლესიამ მიიღო ახალ კალენდარზე გადასვლის გადაწყვეტილება, ხალხი ისევ ძველი საეკლესიო სტილით აღნიშნავდა დღესასწაულებს და აიძულებდა სამღვდელოებას, იმ დღეს მისულიყვნენ ტაძრებში და იმ დღეს ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება. ეკლესიის ისტორიამ იცის უამრავი მაგალითი, როდესაც პატრიარქები, მთვდელმთავრები და სამღვდელოების უდიდესი ნაწილი ცდებოდა, სიახლის შემოტანას ცდილობდა, მაგრამ მრევლმა არ დაუშვა ეკლესიის სწავლების შერყვნა.

სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავენ აღმოსავლელი, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქები თავის 1848 წლის 6 მაისის ეპისტოლეში, რომელიც ეკლესიის მიერ აღიარებულია, როგორც სარწმუნო და მნიშვნელოვანი მრგვლივმოსავლელი დოკუმენტი. ამ ეპისტოლეში პატრიარქები რჯულის ერთ-ერთ მთავარ დამცველად მრევლ მიიჩნევენ, რაც ასევე აღნიშნული და დადასტურებულია მრავალი წმიდა მამის მიერ, ეკლესიის ისტორიული გამოცდილებითა და მრავალი მაგალითით. კერძოდ ისინი წერენ: **“ჩვენში არც პატრიარქებსა და არც (საეკლესიო) კრებებს არასდროს შეეძლოთ შემოეტანათ რაიმე სიახლე, იმიტომ, რომ კეთილმსახურების დამცველ-შემნახავი ჩვენში არის თვით სხეული ეკლესიისა, ანუ თვით მორწმუნე ერი, რომელსაც ყოველთვის სურს თავისი სარწმუნოების უცვალებლად და წმიდა მამათა რწმენასთან თანახმიერად დაცვა”** (ეპისტოლე, § 17)